



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №26

2014 წლის 29 აგვისტო
ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის
სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს :

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის თანდართული დებულება.
2. ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის სტრუქტურული ერთეულის - მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2008 წლის 30 იანვრის №1-3 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“ №15; 09.02.2008წ. გვ:12, 13).
3. დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 5 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი ჭეიშვილი

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილება
2014 წლის 29 აგვისტო N26

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის
სამსახურის დებულება**

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ და „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას, მობილიზაციისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

2. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ და „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით დადგენილი უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში.

3. სამსახურის სრული დასახელებაა: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

4. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, უფროსის მოადგილისა და სამსახურში შემავალი განყოფილებებისაგან.

5. სამსახური არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საბიუჯეტო დაწესებულებას, არ აქვს დასრულებული ბალანსი და ანგარიში.

6. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №45.

7. სამსახურს აქვს ბეჭედი და შტამპი საკუთარი დასახელების აღნიშვნით. სამსახური იყენებს მერიის ტიტულიან ბლანკს საკუთარი დასახელების დამატების აღნიშვნით.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის პრინციპები

სამსახურის საქმიანობის პრინციპებია:

- ა) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- ბ) კანონის წინაშე თანასწორობა;
- გ) საქმიანობა კანონმდებლობის საფუძველზე;
- დ) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონმდებლობის საფუძველზე;
- ე) საქმიანობის განხორციელება საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეწონასწორობით;
- ვ) მიუკერძოებლობა;
- ზ) საქვეყნოობა და საჯაროობა.

თავი II. სამსახურის ძირითადი ფუნქციები, ამოცანები და უფლება-მოვალეობანი

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები და ამოცანები

სამსახურის ძირითად ფუნქციებს და ამოცანებს განეკუთვნება:

- ა) მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, სამხედრო სამსახურისათვის მომზადება და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება;
- ბ) ახალგაზრდებთან პატრიოტულ – აღმზდელიობითი მუშაობა;
- გ) სამობილიზაციო რესურსების (რეზერვის ოფიცერთა, რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა და ტექნიკის) აღრიცხვის ორგანიზება;
- დ) აქტიურ, ინდივიდუალურ და ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა შერჩევა, მოზიდვა და გაწვეულთა შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გაგზავნა;
- ე) რეზერვისტთა სპეციალური აღრიცხვის (დაჯავშნის) ორგანიზება;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტა.

მუხლი 4. სამსახურის უფლებამოსილებები

სამსახურის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

- ა) კანონმდებლობით განსაზღვრული პირ(ებ)ის პირველადი სამხედრო აღრიცხვა;
- ბ) მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულება;
- გ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიების მუშაობის ორგანიზება;
- დ) ხალხისა და სატრანსპორტო რესურსის მობილიზაცია; სამობილიზაციო მოთხოვნათა დაკმაყოფილება ადგილობრივი რესურსის ხარჯზე, საჯარისო – სამობილიზაციო გამლისათვის შესაბამისი ბაზის მომზადება;
- ე) მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვა, შესაბამისი ზომების მიღება, მათში დასმული საკითხების დროულად და კანონის ფარგლებში გადაწყვეტა;
- ვ) თავის უფლებამოსილების ფარგლებში შეუფერხებლად გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებიდან, კერძო სტრუქტურებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;
- ზ) მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში. შეისწავლოს საკითხი მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ;
- თ) მერის ცალკეული დავალებების შესრულება;
- ი) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

თავი III. სამსახურის საქმიანობის ორგანიზება და მართვა

მუხლი 5. სამსახურის უფროსი და მისი უფლებამოსილებები

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი (შემდგომში – სამსახურის უფროსი).
2. სამსახურის უფროსს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.
3. სამსახურის უფროსი:
 - ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, მერს წარუდგენს ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, პირველად სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურში გაწვევისა და სხვა სამუშაოების შესრულების შესახებ მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს;

გ) ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს:

გ.ა) სამობილიზაციო რესურსის სრულყოფილ და ხარისხიან აღრიცხვას;

გ.ბ) მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევას;

გ.გ) დადგენილი ფორმის ანგარიშების და მოხსენებების ხარისხიან და დროულ წარდგენას შესაბამის ორგანოებში;

გ.დ) სამსახურის სამობილიზაციო მზადყოფნას.

დ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში გასცემს რეკომენდაციებს, მითითებებს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ე) უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეუფერხებლად გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე განთავსებული საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

ვ) სამსახურში შემოსულ საკითხებს ანაწილებს განსახილველად სამსახურის თანამშრომელთა შორის.

ზ) მერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) უშუალოდ იხილავს სამსახურის საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე შეტანილ საჩივრებს და წარუდგენს მერს შესაბამის დასკვნას;

ი) წარუდგენს მერს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

კ) ხელწერით ადასტურებს სამსახურიდან დოკუმენტების და სხვა მასალის გასვლას, რაც არ ითვლება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებად;

ლ) მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

მ) უშუალოდ იხილავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ საკითხებს;

ნ) სამსახურებრივ საკითხებზე კონსულტაციებს უწევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს, ვიცე-მერს, მერის მოადგილეებს, ასევე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;

ო) სამსახურის საქმიანობაში სამართალშემოქმედების ამალგების მიზნით თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

პ) წარმოადგენს სამსახურს მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობისას;

ჟ) შეიძლება დაესწროს საკრებულოს სხდომებს და სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს საკრებულოს კომისიების მუშაობაში;

რ) ესწრება მერის თათბირებს;

ს) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ტ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მერის ცალკეულ დავალებებს;

უ) ახორციელებს ამ დებულებით, სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ცალკეულ ფუნქციებსა და დავალებებს.

4. სამსახურის უფროსი უფლებამოსილია უშუალოდ განახორციელოს სამსახურისადმი ან/და სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფისადმი მიკუთვნებული ნებისმიერი უფლებამოსილება.

5. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სამსახურის საქმიანობისათვის მერის წინაშე.

6. სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების და სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად.

მუხლი 6. სამსახურის უფროსის მოადგილე და მისი უფლებამოსილებები

1. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე (შემდგომში - უფროსის მოადგილე), რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

2. სამსახურის უფროსის მოადგილე თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) სამსახურის უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან/და გათავისუფლებისას ასრულებს სამსახურის უფროსის მოვალეობას;

ბ) სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს;

გ) ისმენს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

დ) აძლევს დავალებებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;

ე) მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების მიზნით ორგანიზაციას უწევს სტრუქტურული ქვედანაყოფების და თანამშრომლის საქმიანობას;

ვ) წარუდგენს სამსახურის უფროსს წინადადებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს სამსახურის თანამშრომელთა მოვალეობების დროულად შესრულების კონტროლს;

თ) სამსახურის უფროსის დავალებით ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებსა და უფლება-მოვალეობებს;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ცალკეულ ფუნქციებსა და დავალებებს.

3. უფროსის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების და სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. სამსახური შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

3. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) პირველადი სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილება;

ბ) მობილიზაციის განყოფილება.

4. სტრუქტურული ქვედანაყოფის გამგებლობას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

მუხლი 8. პირველადი სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილების უფლებამოსილებები

1. პირველადი სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზებას;

ბ) უზრუნველყოფს მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულებას;

გ) უზრუნველყოფს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიების მუშაობის ორგანიზებას;

დ) მონაწილეობას ღებულობს ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში. შეისწავლის საკითხს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ;

ე) ქმნის პირველადი სამხედრო აღრიცხვის ერთიან ელექტრონულ ბაზებს;

ვ) სამსახურის უფროსის დავალებით ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებსა და უფლება-მოვალეობებს.

2. განყოფილება მასზე მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.

3. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

4. განყოფილების უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი განთავისუფლებისას უფროსის მოვალეობის შესრულება მერის ბრძანების საფუძველზე ეკისრება განყოფილების ერთ-ერთ მთავარ სპეციალისტს.

5. განყოფილების უფროსი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

6. განყოფილების უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლების და სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9. მობილიზაციის განყოფილების უფლებამოსილებები

1. მობილიზაციის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს სამობილიზაციო რესურსების (რეზერვის ოფიცერთა, რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა და ტექნიკის) აღრიცხვის ორგანიზებას;

ბ) უზრუნველყოფს აქტიურ, ინდივიდუალურ და ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა შერჩევას, მოზიდვას და გაწვეულთა შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გაზავნას;

გ) უზრუნველყოფს რეზერვისტთა სპეციალური აღრიცხვის (დაჯავშნის) ორგანიზებას;

დ) უზრუნველყოფს ხალხისა და სატრანსპორტო რესურსის მობილიზაციას; სამობილიზაციო მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ადგილობრივი რესურსის ხარჯზე, საჯარისო – სამობილიზაციო გაშლისათვის შესაბამისი ბაზის მომზადებას;

ე) ქმნის სამობილიზაციო რესურსების ერთიან ელექტრონულ ბაზას;

ვ) სამსახურის უფროსის დავალებით ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებსა და უფლება-მოვალეობებს.

2. განყოფილება მასზე მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.

3. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

4. განყოფილების უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი განთავისუფლებისას უფროსის მოვალეობის შესრულება მერის ბრძანების საფუძველზე ეკისრება განყოფილების ერთ-ერთ მთავარ სპეციალისტს.

5. განყოფილების უფროსი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

6. განყოფილების უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლების და სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის, აგრეთვე, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 10. სამსახურის სტრუქტურაში არსებული თანამდებობები

ამ დებულების შესაბამისად სამსახურის საშტატო ნუსხით სამსახურის შემადგენლობაში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

- ა) სამსახურის უფროსი;
- ბ) უფროსის მოადგილე;
- გ) განყოფილების უფროსი;
- დ) მთავარი სპეციალისტი;
- ე) წამყვანი სპეციალისტი;
- ვ) უფროსი სპეციალისტი;
- ზ) სპეციალისტი.

თავი IV. სხვა დებულებები

მუხლი 11. სხვა დებულებები

წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება საკრებულოს დადგენილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.